# 154 ჩვენ ბოლომდე მოვითმენთ

(მათე 24:13)

1. გვინდა, განსაცდელს
   შევხვდეთ ჩვენ იესოს მსგავსად.
   ტკივილის მიღმა
   ის დიდ სიხარულს ხედავდა;
   ღვთის სიტყვა, სიმართლე
   მუდამ ამხნევებდა.

*(მისამღერი)*

*ჩვენ უნდა მოვითმინოთ*
*და რწმენა დავიცვათ.*
*ვიცით, რომ ღმერთს ვუყვარვართ,*
*ის მხარს გვიჭერს და შევძლებთ მოთმენას.*

2. ახლა ჩვენ ვებრძვით
   მწუხარებას, დარდს და ტკივილს,
   ზოგჯერ ცრემლებით,
   თუმცა ღვთის ერთგული ვრჩებით.
   მოთმენით მივიღებთ
   ძღვენს უწყვეტ სიცოცხლის.

*(მისამღერი)*

3. არ დავნებდებით
   და შიშით ფარ-ხმალს არ დავყრით.
   მუდამ ერთგულად
   ძვირფას ღმერთს ვემსახურებით.
   გვმართებს მოვითმინოთ.
   ღვთის დღე ახლოს არის.

*(მისამღერი)*

(იხილეთ აგრეთვე საქ. 20:19, 20; იაკ. 1:12; 1 პეტ. 4:12—14)

*snylpnw*-GE No. 154 4/16
© 2016 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania